კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი **06.05.2014 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

პაპუნა პეტრიაშვილი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის მერის მოადგილე;
გიორგი ქორქაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი;
გიორგი ვაჩეიშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
გივი რუხაძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის შემოსასვლელების, შემოგარენის, სანაპიროების, პარკების, სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის აღდგენისა და მოწყობის გაყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2014 წლის 23 აპრილს გამოცხადებული (საკონკურსო განცხადების #1211) კონკურსის შეწყვეტა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის გიორგი ქორქაშვილის გამოსვლა, რომელმაც მოახსენა საკონკურსო კომისიას, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული კონკურსის შეწყვეტა და შეცვლილი ტექნიკური პირობებით ახალი კონკურსის გამოცხადება.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულს.

კომისიამ დაადგინა:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეწყვეტილ იქნას ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსი (საკონკურსო განცხადების ნომერი: #1211).

კომისიის თავმჯდომარე /**პაპუნა პეტრიაშვილი**/

კომისიის წევრი /**გიორგი ქორქაშვილი**/

კომისიის წევრი /**გიორგი ვაჩეიშვილი**/

კომისიის წევრი /**გივი რუხაძე**/